

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 ნოემბრის №2278/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „HEPOHOJI“ უღერადობით და ვიზუალურად მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის „MEDA Pharma GmbH & Co. KG“, სახელზე რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული ნიშნისა "NERANOL" (რეგისტრაციის №748102, რეგისტრაციის და გავრცელების თარიღი 15/11/2000წ.). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ნიშნები შესრულებულია განსხვავებული შრიფტით (წარმოდგენილი ნიშანი – კირილიცათი, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი – ლათინური შრიფტით), ეს არ ანიჭებს ნიშანს ისეთ განსხვავებას, რომ გამოირიცხოს ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის, რის გამოც „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ნაწილობრივ უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი კომპანია „მედა აბ“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი განსხვავდება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნისაგან ვიზუალურად და უღერადობით და ეს განსხვავება სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ არ მოხდეს მომხმარებლის მხრიდან ამ ორი სასაქონლო ნიშნით მონიშნული საქონლის მწარმოებელთა ერთმანეთში აღრევა. კერძოდ, განცხადებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია კირილიცაზე, მაშინ როცა დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური შრიფტით. აპელანტის პოზიციით, განსხვავებულია აღნიშნული ნიშნების მეოთხე ასო-ბგერა. განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანში ეს არის რუსული ანბანის (კირილიცა) ასო-ბგერა “О”, ხოლო დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანში - ლათინური ანბანის ასო-ბგერა “O”. აქედან გამომდინარე ქართველი მომხმარებლისათვის ისინი განსხვავებულად უღერს: განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი - "ნერონოლ", ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი "ნერანოლ". აპელანტის

მითითებით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი საქონლის ჩამონათვალის წარმოშობის ქვეყნის საპატენტო უწყების მოთხოვნით 2004 წელს განხორციელებული შეზღუდვის თანახმად დაცულია საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-5 კლასის სპეციფიკური ფარმაცევტული საქონლისათვის, სახელდობრ - Analgesic remedies, anti-epileptic remedies, preparations for the treatment of the nervous system (ტკივილგამაყუჩებელი სამკურნალო საშუალებები, ეპილევსიის საწინააღმდეგო სამკურნალო საშუალებები, ნერვული სისტემის სამკურნალო პრეპარატები), ხოლო განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის დაცვა მოითხოვება საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-5 კლასის უფრო ზოგადი დანიშნულების მქონე საქონლისათვის, მათ შორის ისეთი საქონლისათვის, რომელიც არ მიეკუთვნება სამკურნალო საშუალებებს. აპელანტის განმარტებით, სააპელაციო საჩივარს თან ერთვის დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის მფლობელის „MEDA Pharma GmbH & Co KG“ თანხმობის წერილი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის „HEPOHOJI“ IR 1135117 საქართველოში რეგისტრაციასა და გამოყენებაზე მე-5 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალისათვის. თანხმობის წერილში აღნიშნულია, რომ განცხადებული და დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიები მიეკუთვნებიან მონათესავე კომპანიათა ჯგუფს. ამ ფაქტს ადასტურებს თანხმობის წერილზე კომპანიათა ჯგუფის „MEDA Group“ პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების კორპორაციის ხელმძღვანელის გაბრიელა ენდლერის ხელმოწერა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 ნოემბრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ №2278/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „HEPOHOJI“ (საიდ. №69778/03 IR 1135117) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

სააპელაციო საჩივარს თან ერთვის დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის „MEDA Pharma GmbH & Co. KG,, მიერ გაცემული თანხმობის წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია „MEDA Pharma GmbH & Co. KG” თანახმაა კომპანია „მედა აბ”-ს (Meda AB) სახელზე სასაქონლო ნიშნის „HEPOHOJ” (საიდ. №69778/03 IR 1135117) საქართველოში დაცვასა და გამოყენებაზე მე-5 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ. ამავე თანხმობის წერილში აღნიშნულია, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია „MEDA Pharma GmbH & Co. KG” და აპელანტი კომპანია წარმოადგენენ კომერციულად მონათესავე კომპანიებს. აპელანტის მიერ წარმოდგენილ იქნა ასევე ინფორმაცია განმცხადებელი კომპანიის „მედა აბ”-ს შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ „მედა აბ” წარმოადგენს ლიდერ საერთაშორისო ფარმაცევტულ კომპანიას, რომლის სათაო ოფისიც მდებარეობს სოლნაში (შვედეთი), მაგრამ აღნიშნული კომპანია გერმანიაში წარმოდგენილია ორი კომპანიის სახით: დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის „MEDA Pharma GmbH & Co. KG” სახით, რომელიც მდებარეობს ბად ჰომბურგში და კომპანია „მედა მანუფაქტურინგ გმბჰ” (The MEDA Manufacturing GmbH) სახით, რომელიც მდებარეობს კიოლნში. თანხმობის წერილს ხელს აწერს, როგორც დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის მმართველი დირექტორი, ისე „მედა” ჯგუფის პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების დეპარტამენტის უფროსი. აღნიშნული თანხმობის წერილიდან და აპელანტის მიერ კომპანიების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია და განცხადებული ნიშნის მფლობელი კომპანია წარმოადგენენ მონათესავე კომპანიებს და შედიან ერთ სამრეწველო ჯგუფში, კერძოდ წარმოადგენენ „MEDA Group” –ის წევრ საწარმოებს. ამასთან,

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია წარმოადგენს თავად განმცხადებელი კომპანიის „მედა აბ“-ს ოფიციალურ წარმომადგენელს გერმანიაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ ვინაიდან განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიები წარმოადგენენ მონათესავე კომპანიებს, შესაბამისად ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნისათვის „НЕПОХОЖИ“ (საიდ. №69778/03 IR 1135117) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიც არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „მედა აბ“-ს (Meda AB) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 ნოემბრის №2278/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ.
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „НЕПОХОЖИ“ (საიდ. №69778/03 IR 1135117) მიენიჭოს დაცვა საქართველოში მე-5 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის

რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში
(მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების
გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ქ. ქ.

წევრები:

ი. გიქორაშვილი

დ. ჭიჭინაძე